

საჭიროებების მიმოხილვა

*ქვემო სარალი, აღმამედლო, ხულდარა, კასუმლო
ადგილობრივი თემის საჭიროებები, წუხილები, ინტერესები*



ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center



USAID
ამერიკელი ხალხისგან

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მხარდაჭერილი პროექტის, „ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის წახალისება ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ეფექტიანი დემოკრატიული მონაწილეობის მექანიზმების დანერგვის ადვოკატირების გზით“, ფარგლებში. პროექტს EMC ახორციელებს სათემო რადიოსთან, „მარნეული“, და საინიციატივო ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით, რომელიც აერთიანებს ადგილობრივ აქტივისტებსა და სოფლების - ხულდარა, კასუმლო, აღმამედლო და ქვემო სარალის სათემო ცენტრებს.

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, ამერიკის მთავრობის, ან NDI-ის შეხედულებებს.

ავტორი: ქამრან მამედლი

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

შინაარსი

1. შესავალი და კვლევის მეთოდოლოგია.....	3
2. სოფელი ხულდარა.....	4
3. სოფელი კასუმლო.....	8
4. სოფელი აღმამედლო.....	12
5. სოფელი ქვემო სარალი.....	16

1. შესავალი და კვლევის მეთოდოლოგია

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) აქტიური მუშაობა ქვემო ქართლის რეგიონში აჩვენებს, რომ საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანულ თემში მძიმედ დგას პოლიტიკური მონაწილეობის, სასიცოცხლო რესურსებზე და ბაზისურ სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. აღნიშნული გამოწვევებიდან გამომდინარე, EMC მიზნად ისახავს კონკრეტული სოფლების დონეზე ადგილობრივი თემის საჭიროებების, წუხილების, ინტერესების იდენტიფიცირებას და მათი ადვოკატირების ხელშეწყობას. ამ მიზნით, EMC-იმ მოამზადა მარნეულის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფლის, კერძოდ, სოფელი ხულდარას, აღმამედლოს, ქვემო სარალისა და კასუმლოს საჭიროებების რუკა. აღნიშნული სოფლების შერჩევა ადგილზე ადგილობრივი აქტივისტების თვითორგანიზების გამოცდილებისა და შესაბამისად, მონაწილეობითი ადვოკატირებისა და სოციალური ცვლილებების უფრო მეტი რესურსის გათვალისწინებით მოხდა. ამ სოფლებში მუშაობის და დემოკრატიული ადვოკატირების პრეცედენტები შეიძლება გამოყენებული იქნას სხვა სოფლებშიც.

წინამდებარე საჭიროებების რუკა ახდენს სოფელში არსებული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული გამოწვევების და დემოკრატიული შესაძლებლობების იდენტიფიკაციას, ამ საკითხების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან გასაჯაროება და ადვოკატირებისთვის. იმისათვის, რომ საჭიროებების რუკა ადგილობრივი მოსახლეების გამოცდილებაზე და ცოდნაზე დაფუძნებით შექმნილიყო, EMC-მ გამოიყენა ანალიზის შემდეგი მეთოდოლოგია:

- თემის პრობლემების იდენტიფიკაციის კითხვარი
- KWHW (რა ვიცით, რა უნდა შეიცვალოს, როგორ უნდა შეიცვალოს, ვინ უნდა შეცვალოს) ¹ ანალიზის მეთოდი

აღნიშნული მეთოდები მაქსიმალურად სისტემურად და მონაწილეობითად იძლევა თემის საჭიროებების დანახვის შესაძლებლობას. თემის პრობლემების იდენტიფიკაციის კითხვარი მიზნად ისახავს შეისწავლოს და გამოავლინოს არა მხოლოდ სოფელში არსებული პრობლემების სიმპტომები, არამედ სიღრმისეული საფუძვლები და გამომწვევი მიზეზები. KWHW ანალიზის მეთოდი, თავის მხრივ, გამოყენებულია, რომ პრობლემების იდენტიფიკაციის პროცესში გავიგოთ სოფლის

¹ Know What How How (KWHW)

მაცხოვრებლების აზრი, თუ როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემები და ვინ არის პასუხისმგებელი ამ პრობლემების მოგვარებაზე.

ამასთან აღსანიშნავია, რომ EMC-ის ყველა ზემოთ აღნიშნულ სოფლებში უკვე ჰქონდა გაწეული კვლევითი, ადვოკატირების, ადგილზე ორგანიზებული სავლე სამუშაოები და მობილური იურიდიული კლინიკებით შეგროვებული ინფორმაცია არსებული გამოწვევებისა და საჭიროებების შესახებ. ორგანიზაციის ხელთ უკვე არსებული ინფორმაციისა და დამატებითი მონაწილეობითი კვლევის მეთოდების გამოყენებით, EMC მოახერხა ამ სოფლებში არსებული მდგომარეობის სრული სურათის მიღება და ანალიზი.

ქვემოთ ინფორმაცია წარმოდგენილია ისე, როგორც ის არტიკულირებული და გაზიარებული იყო ადგილობრივი თემების მიერ. EMC შეეცადა არ მოეხდინა ინფორმაციის დამატებითი ანალიზი და კლასიფიკაცია, რათა არ მომხდარიყო ადგილობრივების ხედვების, მახვილების და აფექტების დამახინჯება/შეცვლა.

2. სოფელი ხულდარა

ზოგადი ინფორმაცია სოფელ ხულდარას შესახებ

სოფელი ხულდარა მდებარეობს მარნეულის მუნიციპალიტეტში, სადახლოს თემში, ქალაქ მარნეულიდან 35.6 კმ-ის მოშორებით. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სოფელში 915 ადამიანი ცხოვრობს და სრულად დასახლებულია ეთნიკურად აზერბაიჯანული, მუსლიმი მოსახლეობით. სოფელში არის მეჩეთი.

მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეცხოველეობას და ასევე მოჰყავთ შემდეგი აგრო კულტურები: მარწყვი, სიმინდი, კარტოფილი და სხვა. მოსახლეობის უმეტესობა ძირითად შემოსავალს მეცხოველეობა, მეფრინველეობიდან და მოსავლის მოყვანისა და აღების დროს დღიურ მუშად მუშაობით გამოიმუშავებს.

სოფელ ხულდარაში საჭიროებების კვლევის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგიის გამოყენებით, ჩატარდა ერთი ფოკუს ჯგუფი სოფელი ხულდარას ახალგაზრდებთან (8 ადამიანი). EMC მიზნად ისახავდა სათემო ცენტრის ლიდერების მონაწილეობას კვლევის პროცესში. ამ მიზნით, ხულდარას სათემო ცენტრის ლიდერებს ჩაუტარდათ ტრენინგი, პრობლემების იდენტიფიკაციის კითხვარის და KWHW ანალიზის მეთოდის გამოყენებაში. რის შედეგადაც, მონაწილეობითი სამოქმედო კვლევის (Participatory Action Research) ფორმატში, სათემო ცენტრის ლიდერებმა ჩაატარეს 11 ინდივიდუალური ინტერვიუ სოფელი ხულდარას მოსახლეობასთან, 6 ქალთან და 5 კაცთან. ამ სოფელში EMC-ის მიერ უკვე ჩატარებული სავლე გასვლისა და მობილური კლინიკის, სათემო ცენტრის აქტივისტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფისა და ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სოფელი ხულდარას შემდეგი საჭიროებები.

სოფელ ხულდარას საჭიროებები:

1. აღქმა საკითხი, რომელიც აღქმულია თემში პრობლემად?

ადმინისტრაციულად მეზობელ სოფელზე (სადახლო) დამოკიდებულება: ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და თანასწორობის პრინციპის შემლახავ პრობლემად გამოიკვეთა ადგილობრივ თვითმმართველობაში

სოფელ ხულდარას წარმომადგენლის არ არსებობა. მოსახლეობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საკრებულოში მათი წარმომადგენელი არის სადახლოდან, რომელიც არ ცხოვრობს იმ პირობებში რა პირობებშიც ხულდარას თემს უწევს ცხოვრება. ასევე, სადახლოს ადმინისტრაციულ ერთეულში არავინ მუშაობს ხულდარადან. შესაბამისად, მათი ხმა გადაწყვეტილებების მიმღებ პირებამდე ვერ, ან არ მიდის. მოსახლეობის აზრით, არსებული სიტუაცია უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს ხულდარას მოსახლეობას, რომლებსაც ისეთ გამოწვევებთან გამკლავება უწევთ როგორცაა, გზის არ ქონა, ანტისანიტარია (ნარჩენების მართვის არ არსებობის გამო), მიუსაფარი ძაღლები.

უნდობლობა პოლიტიკური პროცესების მიმართ: შეხვედრების და გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ ხულდარას მოსახლეობის დიდ ნაწილს გააჩნია უნდობლობის განცდა პოლიტიკური პროცესების მიმართ. მათ მიაჩნიათ, რომ პოლიტიკურ პროცესებზე და გადაწყვეტილებებზე მოსახლეობის დიდ ნაწილს გავლენის მოხდენის შესაძლებლობა არ აქვთ. დამკვიდრებული უნდობლობა პოლიტიკური პროცესების მიმართ, არის სიღრმისეული საფუძველი (root cause) ყველა დანარჩენი პრობლემის, ასევე მოსახლეობის მხრიდან არჩევნებში დაბალი მონაწილეობის ან საკუთარი საარჩევნო ხმისთვის ნაკლები მნიშვნელობის მინიჭების.

2. (რაოდენობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე ბევრ ადამიანს აწუხებს თემში?

სოფლის შიდა გზები: ხულდარა მიეკუთვნება იმ სოფლების რიგს, სადაც შიდა გზები უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. პრობლემების იდენტიფიკაციის კითხვარში გზის პრობლემა გამოვლინდა ყველა კითხვასთან მიმართებაში. გამოკითხვებმა ცხადჰყო, რომ **გზის პრობლემა არის ყველაზე ისტორიული და მძიმე, ეს პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტ ადამიანს, და აღქმულია ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად.** მოსახლეობის აზრით, ამ პრობლემასთან არის დაკავშირებული დანარჩენი პრობლემების მოგვარება, როგორცაა დასუფთავების (ნარჩენების მართვის) მანქანების მოძრაობა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანების მოძრაობა, ტრანსპორტის არ არსებობა და ა.შ.

ასევე: ნარჩენების მართვა, მიუსაფარი ძაღლები, სკოლა

3. (ისტორიულობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე დიდი ხანია არის თემში?

ქართული ენის ცოდნა: სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელწიფო ენა. იმის გამო, რომ თვითმმართველობის დონეზე სოფლის პრობლემების დაყენება შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე, ეს ფაქტორი ქმნის დამატებით ბარიერებს მოსახლეობისთვის საკუთარი პრობლემების ადვოკატირების პროცესში. ენის არ ცოდნის და ენის არსებული პოლიტიკის გამო, მოსახლეობა ხშირად უარს აცხადებს მიმართოს თვითმმართველობას და მოაგვაროს ადვილად დამლევადი საკითხებიც კი.

სკოლამდელი განათლება და სკოლა: განათლების საკითხი არის ყველაზე ისტორიული პრობლემა სოფელში. ხულდარაში არ არსებობს საბავშვო ბაღი, რაც უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს ამ სოფლის ბავშვებს დანარჩენ საქართველოსთან. მოსახლეობის მიხედვით, სოფელ ხულდარას საჯარო სკოლა რეაბილიტაციას და რემონტს არ ექვემდებარება. გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს სახელწიფო პროექტი, რომლის მიხედვითაც, სოფლისთვის აშენდება ახალი სკოლა. მიუხედავად ამისა, სოფელში ამბობენ, რომ ისინი დიდი ხანია ლოდინის რეჟიმში არიან და იმედიც კი აქვთ დაკარგული ახალი სკოლის აშენებასთან დაკავშირებით. დღეს არსებულ სკოლაში კი არ არსებობს ქიმიის და ფიზიკის ლაბორატორიის ოთახები, სკოლაში არ არსებობს ბუფეტი.

ასევე: შიდა გზები, ნარჩენების მართვა, მიუსაფარი ძაღლები

4. (სიხშირე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება თემში?

ნარჩენების მართვა: სოფელ ხულდარაში არ არსებობს ნაგვის ურნები, რის გამოც მოსახლეობას ნაგვის გადაყრა უწევს სოფლის შემოგარენში. ხულდარას ერთი მხირდან ესაზღვრება მდინარე ბუნუმჩაი, ხოლო მეორე მხრიდან პატარა ხევი. სოფლის ნარჩენები საბოლოო ჯამში იყრება აღნიშნული მდინარის და ხევის ტერიტორიაზე, რაც სოფლის შემოგარენში იწვევს ანტისანიტარიას და მიუსაფარი ძაღლების მომრავლებას. აღნიშნულ პრობლემის მოგვარების მიზნით, სოფელ ხულდარას ახალგაზრდულმა ცენტრმა, კონრეტული გრანტის ფარგლებში, შეიძინა ორი ნაგვის ურნა. რა თქმა უნდა, ეს ორი ურნა საკმარისი არ აღმოჩნდა მთელი სოფლის ნარჩენებისთვის და ამთანავე უგზოობის გამო, მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურებიც ხშირად უძნელდება ამ ურნების დაცლა.

ასევე: შიდა გზები, მიუსაფარი ძაღლები, სკოლა

5. (სიმძიმე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ინტენსიური და აუტანელია?

მიუსაფარი ძაღლები: სოფლის მოსახლეობისთვის განსაკუთრებით მწვავედ დგას მიუსაფარი ძაღლების საკითხი, რომელიც არის გამოწვეული სოფელში ნარჩენების მართვის სისტემის არ არსებობით. გამოკითხვების შედეგად ცნობილი გახდა, რომ სოფელს გააჩნია ტრაგიკული ისტორია მიუსაფარ ძაღლებთან დაკავშირებით. დაახლოებით 10 წლის წინ სოფლის ერთ-ერთ მაცხოვრებელს უკბინა მიუსაფარმა ძაღლმა, რომლის შედეგადაც ეს ადამიანი და მთელი მისი ოჯახი ცოფით გარდაიცვალა. შეხვედრების შედეგად გამოვლინდა, რომ ამ მოვლენას ახასიათებს თემის კოლექტიური ტრამვის ნიშნები, რომელიც საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და დღეს არსებული მიუსაფარი ძაღლების საკითხის სასწრაფო მოგვარებას.

ასევე: შიდა გზები, ნარჩენების მართვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი

6. (თანასწორობა) პრობლემა, რომელიც არღვევს თანასწორობის უფლებას?

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: სოფელ ხულდარას არ ემსახურება საზოგადოებრივი ტრანსპორტი. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხრივ სოფელი მთლიანად დამოკიდებულია მეზობელ სოფელზე, სადახლოზე. სადახლოდან ხულდარამდე დაახლოებით 40 წუთის სავალია ფეხით, რაც იზოლაციაში ტოვებს სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს.

დომინანტი ჯგუფის რელიგიური სიმბოლოები სოფლის სიახლოვეს: გამოკითხვებით გამოვლინდა, რომ მოსახლეობისთვის გაუგებარია სოფელში, სადაც მოსახლეობის 100% არის მუსლიმი, რატომ არის საჭირო ან რა მიზანს ემსახურება ქრისტიანული სიმბოლოების (ჯვარი სოფლის თავზე) განთავსება.

7. (გენდერი) პრობლემა, რომელიც ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს?

ქალების ჩაგრული მდგომარეობა: გამოკითხვების მიხედვით, განსაკუთრებით უთანასწორო პირობებში არიან ქალები, რომელთაც საჯარო ცხოვრება უმეტეს შემთხვევაში მეზობლებთან და ნათესავებთან ჩაიხე შეხვედრებით. თემში არსებული და არასწორად ინტერპრეტირებული ტრადიციები ქალებს და გოგონებს განათლების მიღების შესაძლებლობას უზღუდავს. ქალების ხმა თითქმის არ ისმის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ქალების ჩაგრული მდგომარეობა არის ერთ ერთი ყველაზე ისტორიული, შიდა თანასწორობის დამრღვევი და მძიმე პრობლემა სოფელ ხულდარაში.

8. (შიდა თანასწორობა) პრობლემა, რომელიც თემის შიდა თანასწორობას და სამართლიანობას უშლის ხელს?

ახალგაზრდული ცენტრის აშენება: სოფელი ხულდარა, არც თუ ისე ცოტა ხნის წინ, საქართველოში ცნობილი გახდა გარაჟში დაფუძნებული ახალგაზრდული ცენტრით. საერთაშორისო და ეროვნული

მედია საშუალებები სიუჟეტებს და გადაცემებს ამზადებდნენ ხულდარას ახალგაზრდული ცენტრის საქმიანობების შესახებ. ამ ეტაპზე, ერთ-ერთი დამფუძნებლის გარაჟში მოქმედი ხულდარას ახალგაზრდული ცენტრი ვეღარ იტევს ბავშვების რაოდენობას. შეხვედრების საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ საჭიროა ახალგაზრდული ცენტრის გაფართოება, ან ცენტრისთვის ახალი შენობის აშენება, რაშიც დამფუძნებლების აზრით, ადგილობრივი თვითმმართველობის მხარდაჭერა გადამწყვეტი იქნება.

სასმელი წყლის პრობლემა სოფლის ერთ-ერთ უბანზე: მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ძირითად ნაწილს არ აქვს სასმელი წყლის პრობლემა, გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლის ახალ დასახლებებში (ძირითადად სოფლის შესასვლელიდან მარჯვენა მხარე) არსებობს სასმელი წყლის პრობლემა. შედეგად, აღნიშნული მოსახლეობა იძულებულია მეზობლებისგან მოიმარაგოს წყალი.

გამოსავლის გზები და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ხულდარას თემი კარგად ხედავს სოფელში არსებულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს. ასევე გამოვლინდა, რომ ხულდარას თემის ახალგაზრდული ცენტრი აქტიურად მუშაობს სოფლის საჭიროებების ინდენტიფიკაციაზე და მათ მოგვარებაზე. ცენტრის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, სოფლის ყველაზე დიდი გამოწვევა სწორედ, რომ შიდა გზების რეაბილიტაციაა. EMC-ის მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ შიდა გზები, სკოლა და ნარჩენების მართვა/მიუსაფარი ძალები არის ის სამი ძირითადი ადმინისტრაციულ-ინფრასტრუქტურული გამოწვევა, რაც ყველაზე მეტად აწუხებს სოფელს. აღნიშნული გამოწვევების მოგვარების ყველაზე ეფექტიანი გზა შესაძლოა იყოს პირდაპირი დემოკრატიული კომუნიკაციის დამყარება მოსახლეობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის, რაც მოსახლეობაში პოლიტიკური პროცესების მიმართ ნდობის გაზრდას შეუწყობს ხელს. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სოფლის კრებების ტრადიციის შექმნა და მხარდაჭერა თვითმმართველობის მიერ. კითხვაზე თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ პრობლემების მოგვარებაზე, პასუხი ერთგვაროვანი და ცალსახაა. მოსახლეობის აზრით, აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობა, მოსახლეობასთან თანამშრომლობის გზით. არსებითია, რომ ადგილობრივ თემთან კომუნიკაციის დროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩართოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი ქალები ასევე ახალგაზრდები. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა იყოს ინკლუზიური და ის პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების დროს ხედავდეს, აღიარებდეს ყველა სოციალურ ჯგუფს (მათი სპეციფიკური მოწყვლადობის და საჭიროებების გათვალისწინებით), რესურსებს სწორედ მათი სპეციფიკური საჭიროებების მიხედვით ანაწილებდეს და ამავდროულად ყველა ამ ჯგუფს პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობებს უქმნიდეს. ამ კუთხით თვითმმართველობასთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. არსებითია მათ ქალებთან კომუნიკაციის, მათი სპეციალური საჭიროებების და წუხილების იდენტიფიცირება და ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე მათი დაყენება უზრუნველყონ. ამასთან არსებითია ქალთა პირდაპირი პოლიტიკური მონაწილეობის სპეციალური ფორმატების შემუშავება, მათ შორის, ქალებზე სპეციალურად ორიენტირებული სოციალური მხარდაჭერის პროგრამების და გრანტების სისტემის დანერგვა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

ქართული ენის დომინაციის პოლიტიკის პირობებში, მნიშვნელოვანია თვითმმართველობის და ტერიტორიული ორგანოების დონეზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოხდეს საჯარო ინფორმაციის და სახელმწიფო პროგრამების თარგმნა მათთვის გასაგებ ენაზე, რათა იზოლაციის და პოლიტიკური პროცესებიდან გაუცხოების პრობლემა შედარებით მოიხსნას.

სოფელ ხულდარას გააჩნია თვითორგანიზების მექანიზმებიც. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი თემის ახალგაზრდული ცენტრია, რომელიც აქტიურად ახდენს სოფლის პრობლემების ადვოკატირებას სოციალურ ქსელებში და ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

3. სოფელი კასუმლო

ზოგადი ინფორმაცია სოფელ კასუმლოს შესახებ

სოფელ კასუმლო მდებარეობს ქალაქ მარნეულიდან 30 კილომეტრის მოშორებით. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სოფელში 2299 ადამიანი ცხოვრობს. სოფელი თითქმის სრულად დასახლებულია ეთნიკურად აზერბაიჯანული, მუსლიმი მოსახლეობით. სოფელში არ არსებობს მეჩეთი.

სოფლის მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეცხოველეობას, ასევე მოჰყავთ შემდეგი აგრო კულტურები: კარტოფილი, სიმინდი და თამბაქო, კიტრი და პომიდორი. მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარ ეზოში სასათბურე მეურნეობაც აქვთ შექმნილი. მოსახლეობის ძირითადი შემოსავალის წყარო სწორედ სოფლის-მეურნეობის პროდუქტის რეალიზებაა.

სოფელ კასუმლოს საჭიროებების კვლევის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით, EMC-ის წარმომადგენელმა ჩაატარა ერთი ფოკუს ჯგუფი სოფელი კასუმლოს ახალგაზრდებთან (7 ადამიანი). EMC მიზნად ისახავდა სათემო ცენტრის ლიდერების მონაწილეობას კვლევის პროცესში. ამ მიზნით, კასუმლოს სათემო ცენტრის ლიდერებს ჩაუტარდათ ტრენინგი, პრობლემების იდენტიფიკაციის კითხვარის და KWHW ანალიზის მეთოდის გამოყენებაში, რის შედეგადაც, მონაწილეობითი სამოქმედო კვლევის (Participatory Action Research) ფორმატში, სათემო ცენტრის ლიდერებმა ჩაატარეს 13 ინდივიდუალური ინტერვიუ აღმამედლოს მოსახლეობასთან, 7 ქალთან და 6 კაცთან. ამ სოფელში EMC-ის მიერ უკვე ჩატარებული საველე გასვლისა და მობილური კლინიკის, სათემო ცენტრის აქტივისტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფისა და ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სოფელი კასუმლოს შემდეგი საჭიროებები.

სოფელ კასუმლოს საჭიროებები:

1. აქქმა) საკითხი, რომელიც აქქმულია თემში პრობლემად?

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის ნაკლებობა: კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის და ზოგადად სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, კასუმლოს მოსახლეობის მხრიდან აქქმულია პრობლემურად. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ კასუმლოს შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება მათი ჩართულობის და აზრის გათვალისწინების გარეშე. ერთ-ერთი მაგალითი მათი აზრის არ გათვალისწინებისა, არის სკოლის ახალი შენობის ადგილის განსაზღვრა. მოსახლეობა აცხადებს, რომ მათი ჩართულობის გარეშე გადაწყდა ადგილი სკოლისთვის, რომელიც სოფლიდან შედარებით მოშორებითაა და არის რესტორნის სიახლოვეს. მათი აზრით, ბევრი ბავშვი (უმეტესად გოგონები) იქ არ ივლის, რადგანაც მოსახლეობის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი გამოწვევა იქნება არასრულწლოვანებისთვის რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოველდღე ფეხით გავლა. მოსახლეობა, აგრეთვე, ხაზს უსვამს სოფლის რწმუნებულის მიერ სახელმწიფო ენის არ ცოდნის პრობლემას, რაც მათი აზრით, ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე სოფლის საჭიროებების დაყენებას ართულებს.

სოციალური საკითხები და უმუშევრობა: სოფელ კასუმლოს მოსახლეობის მხრიდან ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად აღქმულია უმუშევრობა და სოციალური პრობლემები. ეს საკითხი იკვეთება ისეთი საკითხების სიღრმისეულ საფუძვლად, როგორცაა გოგონების ადრეულ ასაკში ქორწინება, განათლების მიღების მსურველთა რაოდენობის სიმცირე და პოლიტიკურ პროცესში დაბალი მონაწილეობა. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები მთელს ქვეყანაში მწვავედ დგას, სოფელ კასუმლოში ვითარებას უფრო მეტად ამძიმებს სოფლის მიწების და საძოვრების უსამართლო გასხვისების პრობლემა, რის გამოც ადგილობრივებს ბაზისურ ბუნებრივ რესურსებზე წვდომა შეეზღუდათ.

კორუფციული გარიგებები და სოციალური დახმარება: მოსახლეობა საუბრობს კორუფციულ გარიგებებზე სოციალური დახმარებების მიღების პროცესში. რამდენჯერმე ხაზგასმით აღინიშნა, რომ არიან კონკრეტული ადამიანები, რომლებიც სოფლის მოსახლეობას უმზადებენ სოციალური დახმარების მისაღებად საჭირო დოკუმენტაციას კორუფციული გარიგებების საფუძველზე. შედეგად, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც ნამდვილად სჭირდება სოციალური დახმარება, რჩება პროგრამის გარეთ და არსებითად ირღვევა მათი უფლებები, მაშინ, როცა შეძლებული ოჯახები სარგებლობენ ამ პროგრამებით. განცდა სოციალური დახმარებების სისტემის უსამართლო განაწილების შესახებ თემში ძლიერია და მათი თქმით, ეს ხელისუფლების მხრიდან დაინტერესებას და ჩარევას საჭიროებს.

2. (რაოდენობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე ბევრ ადამიანს აწუხებს თემში?

სოფლის შიდა გზები: მიუხედავად იმისა, რომ კასუმლოს შესასვლელამდე გაყვანილია გზა. სოფლის შიდა გზების ძირითადი ნაწილი ასფალტის საფარის გარეშეა. გამოკითხვების დროს, შიდა გზების საკითხი წამოწეული იყო ყველა კითხვასთან მიმართებაში და ყველაზე მეტი ადამიანის მიერ ხაზგასმული.

ასევე: სოფლის მიწები (საძოვრები), სასმელი წყალი, სკოლა

3. (ისტორიულობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე დიდი ხანია არის თემში?

ქართული ენის ცოდნა: სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელწიფო ენა. იმის გამო, რომ თვითმმართველობის დონეზე სოფლის პრობლემების დაყენება შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე, ეს გარემოება დამატებით ბარიერებს მოსახლეობისთვის საკუთარი პრობლემების ადვოკატირების პროცესში. ენის არ ცოდნისა და ენის პოლიტიკის გამო, მოსახლეობა ხშირად უარს აცხადებს მიმართოს თვითმმართველობას და მოაგვაროს ადვილად დაძლევადი საკითხებიც კი.

სასმელი წყალი: საინტერესოა, რომ მოსახლეობის ნაწილის გადმოსახედიდან წყლის პრობლემა ძირითადად მოგვარებულად ითვლება. სინამდვილეში, წყალი სოფელს კვირაში ორჯერ მიეწოდება 5 საათიანი გრაფიკით. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად მძიმეა ამ კუთხით სოფელში არსებული სიტუაცია და რამდენად ძლიერია მოსახლეობის მხრიდან საკუთარი ჩაგრული მდგომარეობის და უთანასწორობის ინტერნალიზაცია. მოსახლეობის მიხედვით, წყლის საკითხი ერთ-ერთი ყველაზე ისტორიული პრობლემაა. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით, ახალგაზრდების როლი მნიშვნელოვანია, რომლებიც ხაზგასმით აცხადებენ, რომ სასმელი წყლის პრობლემა ჯერ კიდევ მწვავედ დგას სოფელში.

ასევე: შიდა გზები, სკოლა, სოფლის მიწები (საძოვრები)

4. (სიხშირე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება თემში?

სოფლის მიწები და საძოვრები: კასუმლოში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემა არის სოფლის მიწები და საძოვრები. სოფლის მიწების დიდი ნაწილი 90-იან წლებში გასხვისდა ე.წ.

კერძო „არენდატორებზე“. ალტერნატიული სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო, მოსახლეობა იძულებულია, იჯარით აიღოს ეს მიწები და საკუთარი ფიზიკური შრომიდან მიღებული მოგების ძირითადი ნაწილი გადაუხადოს ე.წ. „არენდატორებს.“ მოსახლეობის აზრით, მიწების მაშინდელი გადანაწილება იყო უსამართლო. ასეთივე მძიმე მდგომარეობაა სოფლის სამოვრებთან დაკავშირებითაც. აქაც, თავს იჩენს მოსახლეობის ჩართულობის და მათი აზრის არ გათვალისწინების საკითხი. მოსახლეობა აცხადებს, რომ სამოვრების გასხვისება მოხდა მოსახლეობისთვის აზრის გამოკითხვის გარეშე. უფრო მეტიც, მოსახლეობის მიხედვით, სამოვრები გადაეცა არა თემის წევრებს, არამედ გარეშე პირებს, ძირითადად ეთნიკურად ქართველებს. მათი აზრით, მოსახლეობას რომ სცოდნოდა სამოვრების კერძო მესაკუთრეებისთვის გადაცემის საკითხი, ისინი შეძლებდნენ თვითორგანიზებას და თვითონ აიღებდნენ სამოვრებს იჯარით. დღეს სამოვრების არ არსებობის გამო, მოსახლეობა ვეღარ ეწევა მეცხოველეობასაც, რაც უფრო მეტად ამძიმებს სოფელში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ფონს. 90-იან წლებში ბუნებრივი რესურსების უთანასწორო და უსამართლო გადანაწილების კორუფციული პრაქტიკები მძიმედ აისახება ადგილობრივი თემის ყოველდღიურობაზე და სოციალურ მდგომარეობაზე და სახელმწიფოს მხრიდან მიწის რეფორმის დაწყებასა და არსებული უსამართლობის დროული და საფუძვლიანი აღმოფხვრის საჭიროებას ქმნის.

ნარჩენების მართვა: მოსახლეობის მხრიდან მიმართვის შედეგად, ადგილობრივმა თვითმმართველობამ სოფელ კასუმლოს ნარჩენებისთვის სამი ურნა გამოუყო. ნათელია, რომ სამი ურნა მთელი სოფლის ნარჩენებისთვის არ არის საკმარისი. ამას ემატება ნარჩენების გატანის სერვისის არ არსებობის გამო, რის გამოც აღნიშნული ურნების რეალური გამოყენება და ფუნქციონირება ვერ ხერხდება.

ასევე: შიდა გზები, სასმელი წყალი, სკოლა

5. (სიმძიმე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ინტენსიური და აუტანელია?

სკოლა და სკოლამდელი განათლება: სოფელში არ არსებობს საბავშვო ბაღი, რაც კასუმლოს ბავშვებს აყენებს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში. გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ არსებობს სახელმწიფო პროექტი, რომლის მიხედვითაც, იგეგმება სკოლის ახალი შენობის მშენებლობა, ხოლო ახლანდელი სკოლა უნდა გადაიქცეს კასუმლოს საბავშვო ბაღად. თუმცა, მოსახლეობამ არ იცის ახალი სკოლის მშენებლობის პროცესი როდის დაიწყება. ამასთან, მოსახლეობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ამჟამინდელ სკოლაში არ არსებობს ფიზიკის ან ქიმიის ლაბორატორიები, ასევე არ არის ბიბლიოთეკა, რაც ამლიერებს კასუმლოს ახალგაზრდებს ბაზისურ სასწავლო და ინტელექტუალურ რესურსებზე წვდომას უზღუდავს.

ასევე: შიდა გზები, სასმელი წყალი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი

6. (თანასწორობა) პრობლემა, რომელიც არღვევს თანასწორობის უფლებას?

სამლოცველო: სოფელს არ გააჩნია მეჩეთი. მოსახლეობა აქტიურად საუბრობს სამლოცველოს აუცილებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ხნის წინ ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა დაიწყო კასუმლოში მეჩეთის მშენებლობა, ამ ადამიანის გარდაცვალების შემდეგ მშენებლობა შეჩერებულია.

7. (გენდერი) პრობლემა, რომელიც ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს?

ქალების ჩაგრული მდგომარეობა: გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ ქალები განსაკუთრებით ჩაგრულ მდგომარეობაში არიან. სოფელში ჯერ კიდევ ძლიერია გოგონების აზრის გათვალისწინების გარეშე მათი ადრეულ ასაკში ქორწინება. ხშირად, ეს გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რასაც ტრადიციების არასწორად ინტერპრეტაციაც უწყობს ხელს. ქალების ხმა თითქმის არ ისმის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ქალები აცხადებენ, რომ გარდა იმისა, რომ

გადაწყვეტილებების მიღება ხდება მცირე ჯგუფის მიერ, ეს მცირე ჯგუფიც უმეტესად კაცებით არის დაკომპლექტებული. შესაბამისად, ქალების აზრის და საჭიროებების გათვალისწინება არ ხდება. სიტუაციას ამძიმებს სოფელში საბავშვო ბაღის არ არსებობაც, რაც თავის მხრივ ქალებს უზღუდავს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვას. ხშირად, ქალები იძულებულნი არიან იჯარით აღებულ მიწებზე მუშაობის დროს თან წაიყვანონ სკოლამდელი ასაკის შვილები. რაც თავის მხრივ ერთი ორად ზრდის მათ შრომას.

8. (შიდა თანასწორობა) პრობლემა, რომელიც თემის შიდა თანასწორობას და სამართლიანობას უშლის ხელს?

ახალგაზრდული ცენტრი და ახალგაზრდების ხმა: კასუმლოს ახალგაზრდობა ხაზს უსვამს ახალგაზრდული ცენტრის საჭიროებაზე. ახალგაზრდები ამჟამად შეხვედრებს აწყობენ ერთ-ერთ მათგანს სახლში. ახალგაზრდების აზრით, გარდა ქალების ჩაგრული მდგომარეობისა, სოფელში შიდა თანასწორობას არღვევს ახალგაზრდების ხმის არ არსებობაც. სოფლის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება, ან გარედან, ან კიდევ მცირე ადგილობრივი ჯგუფის მიერ, რომელშიც ახალგაზრდების და ქალების ხმა არ არის გათვალისწინებული.

სარწყავი სისტემები: მოსახლეობა აცხადებს, რომ სარწყავი სისტემები ფუნქციონირებს ზამთარში. ხოლო მაშინ, როცა დგას სარწყავი არხების საჭიროება, ხვანა თესვის და მოსავლის აღების პერიოდში, სარწყავი სისტემა არ არის საკმარისი თემის ყველა წევრისთვის.

გარე განათება: სოფლის შიდა უბნებში არ არის გარე განათება, რაც მოსახლეობაში დაცულობისა და უსაფრთხოების განცდას და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობებს ასუსტებს.

გამოსავლის გზები და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი

კველვის შედეგად გამოვლიდან, რომ კასუმლოს თემი კარგად ხედავს სოფელში არსებულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს. EMC-ის მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ ბაღის მშენებლობა, სასმელი წყალი და სოფლის მიწები (სამოვრები) არის ის სამი ძირითადი ადმინისტრაციულ-ინფრასტრუქტურული გამოწვევა, რაც ყველაზე მეტად აწუხებს სოფელს. აღნიშნული გამოწვევების მოგვარების ყველაზე ეფექტიანი გზა შესაძლოა იყოს პირდაპირი დემოკრატიული კომუნიკაციის დამყარება მოსახლეობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის, რა დროსაც მოსახლეობაში ნდობა პოლიტიკური პროცესების მიმართ გაიზრდება. მოსახლეობის მიხედვით, სოფლის გამოწვევების მოგვარების ყველაზე ეფექტიანი გზა იქნებოდა სოფლის მაცხოვრებლების აზრის მოსმენა, სანამ რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებდა თვითმმართველობა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სოფლის კრებების ტრადიციის შექმნა და მხარდაჭერა თვითმმართველობის მიერ. კითხვაზე თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ პრობლემების მოგვარებაზე, პასუხი ერთგვაროვანი და ცალსახაა. მოსახლეობის აზრით, აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობასთან თანამშრომლობის გზით. არსებითია, რომ ადგილობრივი თემთან კომუნიკაციის დროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩართოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი ქალები ასევე ახალგაზრდები. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა იყოს ინკლუზიური და ის პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების დროს ხედავდეს, აღიარებდეს ყველა სოციალურ ჯგუფს (მათი სპეციფიკური მოწყვლადობის და საჭიროებების გათვალისწინებით), რესურსებს სწორედ მათი საჭიროებების მიხედვით ანაწილებდეს და ამავდროულად ყველა ამ ჯგუფს პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობებს უქმნიდეს. ამ კუთხით თვითმმართველობასთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. არსებითია მათ ქალებთან კომუნიკაციის, მათი სპეციალური საჭიროებების და წუხილების იდენტიფიცირება და ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე მათი დაყენება უზრუნველყონ. ამასთან არსებითია ქალთა

პირდაპირი პოლიტიკური მონაწილეობის სპეციალური ფორმატების შემუშავება, მათ შორის, ქალებზე სპეციალურად ორიენტირებული სოციალური მხარდაჭერის პროგრამების და გრანტების სისტემის დანერგვა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

ქართული ენის დომინაციის პოლიტიკის პირობებში, მნიშვნელოვანია თვითმმართველობის და ტერიტორიული ორგანოების დონეზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოხდეს საჯარო ინფორმაციის და სახელმწიფო პროგრამების თარგმნა მათთვის გასაგებ ენაზე, რათა იზოლაციის და პოლიტიკური პროცესებიდან გაუცხოების პრობლემა შედარებით მოიხსნას.

სოფელ კასუმლოს გააჩნია თვითორგანიზების მექანიზმებიც. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი თემის ახალგაზრდული ცენტრია, რომლის წევრებიც აქტიურად ახდენენ სოფლის პრობლემების ადვოკატირებას სოციალურ ქსელებში და ადგილობრივ თვითმმართველობასთან. გარდა ამისა, გაიხსენეს კასუმლოს სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებელი, „აბზას დაი“ (ბიძა აბასი), რომელიც ხშირად აორგანიზებდა მოსახლეობას და მიმართავდა თვითმმართველობას პრობლემების მოსაგვარებლად. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო, როცა სოფლის წყლის პრობლემა იყო გაშუქებული მედიაში.

4. სოფელი აღმამედლო

ზოგადი ინფორმაცია სოფელ აღმამედლოს შესახებ

სოფელი აღმამედლო მდებარეობს ქალაქ მარნეულიდან 27 კილომეტრის მოშორებით. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სოფელში 2289 ადამიანი ცხოვრობს. სოფელი თითქმის სრულად დასახლებულია ეთნიკურად აზერბაიჯანული, მუსლიმი მოსახლეობით. სოფელში არსებობს მეჩეთი.

სოფლის მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეცხოველეობას. ასევე მოჰყავთ ასევე მოჰყავთ შემდეგი აგრო კულტურები: კარტოფილი, სიმინდი, კიტრი და პომიდორი. მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარ ეზოში სასათბურე მეურნეობაც აქვთ შექმნილი. მოსახლეობის ერთ-ერთი შემოსავალის წყარო სწორედ სოფლის-მეურნეობის პროდუქტის რეალიზებაა.

სოფელ აღმამედლოში საჭიროებების კვლევის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით, EMC-ის წარმომადგენელმა ჩაატარა ერთი ფოკუს ჯგუფი სოფელ აღმამედლოს ახალგაზრდებთან (8 ადამიანი). EMC მიზნად ისახავდა სათემო ცენტრის ლიდერების მონაწილეობას კვლევის პროცესში. ამ მიზნით, აღმამედლოს სათემო ცენტრის ლიდერებს ჩაუტარდათ ტრენინგი, პრობლემების იდენტიფიკაციის კითხვარის და KWHW ანალიზის მეთოდის გამოყენებაში. რის შედეგადაც, მონაწილეობითი სამოქმედო კვლევის (Participatory Action Research) ფორმატში, სათემო ცენტრის ლიდერებმა ჩაატარეს 7 ინდივიდუალური ინტერვიუ აღმამედლოს მოსახლეობასთან, 4 ქალთან და 3 კაცთან. აღნიშნული ფოკუს ჯგუფის და ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სოფელ აღმამედლოს შემდეგი საჭიროებები. ამ სოფელში EMC-ის მიერ უკვე ჩატარებული სავლე გასვლის, ასევე სათემო ცენტრის აქტივისტებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფისა და ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სოფელი აღმამედლოს შემდეგი საჭიროებები.

სოფელ აღმამედლოს საჭიროებები

1. *(აღქმა) საკითხი, რომელიც აღქმულია თემში პრობლემად?*

ძალაუფლების მონოპოლიზაციის განცდა: სოფელ აღმამედლოს საჯარო სკოლის დირექტორი, ამავე დროს, არის მარნეულის საკრებულოს დეპუტატი კასუმლოს ადმინისტრაციული ერთეულიდან. მოსახლეობის ნაწილში ეს აღქმულია, როგორც ძალაუფლების მონოპოლიზება. კვლევის მიხედვით, სკოლის დირექტორი ხშირად იყენებს სკოლის მასწავლებლებს, რათა განახორციელონ ოპოზიციურად განწყობილი ოჯახების სკოლის მოსწავლეებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა. ხდება ოპოზიციურად განწყობილი ადამიანების დამცირება, მათ შორის მასწავლებლების მხრიდან. ასევე ყველაზე ხშირად გამოყენებული ტაქტიკა არის მოსახლეობის დაშინება, რომ თუ ისინი ოპოზიციას მხარს დაუჭერენ, მათ მოეხსნებათ პენსია და სოციალური დახმარება.

ინკლუზიური პოლიტიკის სიმცირე: კვლევის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების შეხვედრები მოსახლეობასთან არ არის ინკლუზიური. მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის მერიის ოფიციალური ვებგვერდზე და Facebook გვერდზე ხშირად გვხვდება ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მერი და მისი წარმომადგენლები აქტიურად ხვდებიან მოსახლეობას და უსმენენ მათ, გამოკითხულთა აზრით, ასეთი შეხვედრები წინასწარ არ არის ცნობილი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის. ხშირად, შეხვედრები ტარდება ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული პირების ოჯახის წევრებთან, მასწავლებლებთან და ხელისუფლების მხარდამჭერებთან, ხოლო კრიტიკული პოზიციების მქონე ადამიანებისთვის ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია არ არის ცნობილი.

2. (რაოდენობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე ბევრ ადამიანს აწუხებს თქმში?

გზის პრობლემა: მიუხედავად იმისა, რომ სოფელ აღმამედლოს შესასვლელი არის მოასფალტებული, სოფლის ძირითადი ნაწილში შიდა გზები არის მძიმე მდგომარეობაში. შიდა გზები არის ერთ-ერთი ყველაზე ისტორიული, ხშირად დასახლებული და მძიმე პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა კვლევის დროს.

ასევე: ნარჩენების მართვა, სკოლა, გარე განათება

3. (ისტორიულობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე დიდი ხანია არის თქმში?

ქართული ენის ცოდნა: სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელწიფო ენა. იმის გამო, რომ თვითმმართველობის დონეზე სოფლის პრობლემების დაყენება შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე, ეს გარემოება ქმნის დამატებით ბარიერებს მოსახლეობისთვის საკუთარი პრობლემების ადვოკატირების პროცესში. ენის არ ცოდნის და ქართული ენის დომინაციის პოლიტიკის გამო, მოსახლეობა ხშირად უარს აცხადებს მიმართოს თვითმმართველობას და მოაგვაროს ადვილად დაძლევადი საკითხებიც კი.

სკოლა და პოლიტიკურად მოტივირებული მასწავლებლები: სოფელ აღმამედლოს სკოლა არ ექვემდებარება რეაბილიტაციას. ძალიან ბევრი საკლასო ოთახი არის ავარიულ მდგომარეობაში. სკოლას არ გააჩნია ფიზიკის და ქიმიის ოთახები ან ლაბორატორიები. სკოლაში არ არის სასმელი წყალი. გამოკითხული ადამიანების მიერ გამოიკვეთა სკოლის პოლიტიზირების შესახებ მძიმე წუხილები.

სასმელი წყლის პრობლემა: სოფელში წყლის პრობლემა ნაწილობრივ მოგვარებულია. მიუხედავად ამისა, მოსახლეობა ხაზს უსვამს, რომ წყლის გაყვანაზე პასუხისმგებელი კომპანიები, ხარჯების შემცირების მიზნით, უხარისხოდ აკეთებენ საქმეს. შედეგად, წყლის მიღების დაზიანებების გამო სოფლის დიდ ნაწილს სასმელი წყლის მომამარაგება უწყდება თვეების განმავლობაში. მათ თქმით, აღნიშნული ფაქტი მეტყველებს მერიის ზედამხედველობის სამსახურის არაეფექტიან მუშაობაზე.

ასევე: შიდა გზები, ნარჩენების მართვა, გარე განათება

4. (სიბშირე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება თქმში?

ნარჩენების მართვა: სოფელ აღმამედლოში არ არსებობს ნაგვის ურნები. ერთად ერთი ნაგვის ურნა, რომელიც დგას სოფლის შემოსასვლევში არ არის საკმარისი მთელი სოფლისთვის. შესაბამისად მოსახლეობა არის გამოუვალ მდგომარეობაში ერთის მხრივ ზედამხედველობის და გარემოს დაცვის სამსახურები მოსახლეობას არ აძლევენ შესაძლებლობას ნაგავი გადაყარონ ან დაწვან, ხოლო მეორეს მხრივ, სოფელში არ არსებობს ნაგვის ურნები და დასუფთავების სერვისი.

ასევე: შიდა გზები, სკოლა, გარე განათება

5. (სიმძიმე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ინტენსიური და აუტანელია?

კრიმინალი და პოლიციის ინდიფერენტულობა: კვლევის შედეგად გამოვლიდან, რომ სოფელ აღმამედლოში ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ათზე მეტი ქურდობის ფაქტი დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, პოლიცია ავლენს გულრილობას და მსგავს ფაქტებზე ეფექტიანად არ რეაგირებს. მოსახლეობა აცხადებს, რომ ყველამ იცის აღნიშნულის შესახებ, მაგრამ არავის არ უნდა პრობლემები შეექმნას და ყველა ირჩევს ჩუმად ყოფნას.

გარე განათება: კვლევის მიხედვით, გარე განათება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი სოფელში. გარე განათების არ არსებობის და ქურდობის შემთხვევების გაზრდის გამო, შებინდების შემდგომ, ახალგაზრდებს არ შეუძლიათ სოფლის ქუჩებში თავისუფლად გადაადგილება. ამ კუთხით, განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან ქალები. განსაკუთრებით ყურადღებას იწვევს, გარე განათების ბოძების დღევანდელი განლაგება. გამოკითხული პირები ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ბოძების განლაგება არის შედეგი კორუფციული გარიგებების თვითმმართველობის წარმომადგენლების და შეძლებულ ოჯახებს შორის. მათი თქმით, იმის გამო, რომ არსებობდა შეზღუდული რაოდენობის გარე განათების ბოძები, ვინც შეძლო შესაბამისი თანხის გადახდა, მხოლოდ მათი სახლის წინ დადგეს განათების ბოძები.

ასევე: შიდა გზები, ნარჩენების მართვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი

6. (თანასწორობა) პრობლემა, რომელიც არღვევს თანასწორობის უფლებას?

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: საზოგადოებრივი ტრანსპორტი აღმამედლოს მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. რეგულარული მარშრუტების არ არსებობის გამო, სოფლის მოსახლეობა იძულებულია ფეხით გაიაროს ძალიან დიდი მანძილი, რომ მეზობელი სოფლების საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებით იმგზავრონ ქალაქ მარნეულის, ან დედაქალაქის მიმართულებით. საჯარო ტრანსპორტთან და გადაადგილებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია მინიმუმამდე შეამციროს მგზავრობა. აღნიშნული საკითხი მოსახლეობას არსებითად იზოლირებულ და სხვა სოფლებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს. განსაკუთრებით არათანასწორ მდგომარეობაში არიან აღმამედლოს სტუდენტები და ახალგაზრდები, რომლებსაც არ გააჩნიათ საკუთარი მანქანით გადაადგილების რესურსი იძულებულნი არიან, რომ გზებზე ფეხით იარონ ან ნაცნობებს თხოვონ, რომ ცენტრალურ გზამდე გავიდნენ, სადაც ასევე უწევთ ძალიან დიდი ხნით ლოდინი.

7. (გენდერი) პრობლემა, რომელიც ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს?

გენდერი: სოფელში არსებობს ქალთა ოთახი. მიუხედავად ამისა, ქალების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძალიან დაბალია. გარე განათების არ არსებობა, განსაკუთრებით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ქალებს, რადგანაც მათ არ შეუძლიათ შებინდების შემდეგ სოფელში თავისუფლად გადაადგილება. ქალთა საჯარო ცხოვრება ძირითადად მეზობლებთან და ნათესავებთან შეხვედრებით შემოიფარგლება. ქალების ჩაგრული მდგომარეობის გამოძვევი მიზეზი,

გარდა თემში არსებული პატრიარქალური კულტურისა, არის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ სოფლის საჯარო და პოლიტიკურ ცხოვრებაში დამკვიდრებული აგრესიული მეთოდები, რომელიც საჯარო ცხოვრებიდან რიყავს ქალებს. ქალების ხმა თითქმის არ ისმის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ქალების ჩაგრული მდგომარეობა არის ერთ ერთი ყველაზე ისტორიული, შიდა თანასწორობის დამრღვევი და მძიმე პრობლემა სოფელ აღმამედლოში.

8. (შიდა თანასწორობა) პრობლემა, რომელიც თემის შიდა თანასწორობას და სამართლიანობას უშლის ხელს?

ადგილობრივი რესურსების არასამართლიანი გადანაწილება: კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალური პროექტები ხშირ შემთხვევაში განხორციელებულია ისე, რომ პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულ ან მათთან დაახლოებულ ადამიანებს. მაგალითისათვის, სოფელში ერთ-ერთი პრობლემური საკითხია გარე განათებების სიმცირე. მიუხედავად ამისა, ნათლად ჩანს, რომ გარე განათების ბომბები არალოგიკურად არის ჩადგმული, კონრეტული პირების სახლებთან ახლოს. ასევე გამოკითხვის ზოგიერთი მონაწილე ასახელებდა, რომ გარე განათების ბომბების დასადგმელი ადგილების განსაზღვრისას ერთერთი ფაქტორი იყო, ის თუ ვინ რამდენს გადაუხდოდა ფულს კომპანიის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებს.

ახალგაზრდული ცენტრის არ არსებობა: სოფელ აღმამედლოში ახალგაზრდების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საჭიროება არის სათემო ცენტრი. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის ახალგაზრდებმა რამდენჯერმე წერილობით და ზეპირსიტყვიერად მიმართეს მარნეულის მერიას იმასთან დაკავშირებით, რომ სოფლის კულტურის ცენტრში გამოყოფილიყო ერთი უფუნქციო ოთახი, რომელსაც ისინი თავად გაარემონტებდნენ. თუმცა, ახალგაზრდების ეს მოთხოვნა დღემდე არ დაკმაყოფილდა. ახალგაზრდების აზრით, ეს შესაძლოა გამოწვეული იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის მიმართ მათი კრიტიკული პოზიციის გამო.

სარწყავი არხები: მიუხედავად იმისა, რომ სოფელში არსებობს სარწყავი არხები, მოსახლეობას ძირითადად არ აქვს მოსავლის მორწყვის საშუალება ამ არხების მეშვეობით. ხშირად წყლის პრობლემა მთლიანად გვარდება, როცა არჩვენები ახლოვდება. ზოგი მოსახლე საკუთარ მოსავალს რწყავს სატვირთო მანქანებით მოტანილი წყლით.

გამოსავლის გზები და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თემი ძალიან კარგად ხედავს არსებულ პრობლემებს და გამოსავლის გზებს. EMC-ის მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ შიდა გზები, სკოლა და ნარჩენების მართვა არის ის სამი ძირითადი ადმინისტრაციულ-ინფრასტრუქტურული გამოწვევა, რაც ყველაზე მეტად აწუხებს სოფელს. აღნიშნული გამოწვევების მოგვარების ყველაზე ეფექტიანი გზა შესაძლოა იყოს პირდაპირი დემოკრატიული კომუნიკაციის დამყარება მუშაობა მოსახლეობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის, რაც მოსახლეობაში პოლიტიკური პროცესების მიმართ ნდობას გაზრდის. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სოფლის კრებების ტრადიციის შექმნა და მხარდაჭერა თვითმმართველობის მიერ. კითხვაზე თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ პრობლემების მოგვარებაზე, პასუხი ერთგვაროვანი და ცალსახაა. მოსახლეობის აზრით, აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობასთან თანამშრომლობის გზით. არსებითია, რომ ადგილობრივ თემთან კომუნიკაციის დროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩართოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი ქალები ასევე ახალგაზრდები. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა იყოს ინკლუზიური და ის პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების ჯგუფს ხედავდეს, აღიარებდეს ყველა სოციალურ ჯგუფს (მათი სპეციფიკური მოწყვლადობის და საჭიროებების გათვალისწინებით), რესურსებს მათი საჭიროებების მიხედვით

ანაწილებდეს და ამავედროულად ყველა ამ ჯგუფს პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობებს უქმნიდეს. ამ კუთხით თვითმმართველობასთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. არსებითია მათ ქალებთან კომუნიკაციის, მათი სპეციალური საჭიროებების და წუხილების იდენტიფიცირება და ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე მათი დაყენება უზრუნველყონ. ამასთან არსებითია ქალთა პირდაპირი პოლიტიკური მონაწილეობის სპეციალური ფორმატების შემუშავება, მათ შორის, ქალებზე სპეციალურად ორიენტირებული სოციალური მხარდაჭერის პროგრამების და გრანტების სისტემის დანერგვა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

ქართული ენის დომინაციის პოლიტიკის პირობებში, მნიშვნელოვანია თვითმმართველობის და ტერიტორიული ორგანოების დონეზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოხდეს საჯარო ინფორმაციის და სახელმწიფო პროგრამების თარგმნა მათთვის გასაგებ ენაზე, რათა იზოლაციის და პოლიტიკური პროცესებიდან გაუცხოების პრობლემა შედარებით მოიხსნას.

კვლევის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ სოფელ აღმამედლოს თემს გააჩნია თვითმობილიზაციის გამოცდილება. უკანასკნელი ასეთი მობილიზაცია იყო სასმელი წყლის ჭების ორგანიზების პროცესთან დაკავშირებული, როცა სოფლის სხვადასხვა უბნებმა ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერით შეძლეს თვითორგანიზება და წყლის პრობლემის ნაწილობრივ მოგვარება. მიუხედავად ამისა, ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება პარტიული პოლიტიკით დაინტერესებული პირების მხრიდან ახალგაზრდა ლიდერების უგულებელყოფის, პოლიტიზირების და დამცირების მცდელობები.

5. სოფელი ქვემო სარალი

ზოგადი ინფორმაცია სოფელ ქვემო სარალის შესახებ

სოფელ ქვემო სარალი მდებარეობს ქალაქ მარნეულიდან 22 კილომეტრის მოშორებით. 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით სოფელში 1370 ადამიანი ცხოვრობს. სოფელი თითქმის სრულად დასახლებულია ეთნიკურად აზერბაიჯანული, მუსლიმი მოსახლეობით. სოფელში არსებობს მეჩეთი.

სოფლის მოსახლეობა ძირითადად მისდევს მეცხოველეობას, ასევე მოჰყავთ შემდეგი აგრო კულტურები: კარტოფილი, სიმინდი, კიტრი და პომიდორი. მოსახლეობის დიდ ნაწილს საკუთარ ეზოში სასათბურე მეურნეობაც აქვთ შექმნილი. მოსახლეობის ძირითადი შემოსავალის წყარო სწორედ სოფლის-მეურნეობის პროდუქტის რეალიზებაა.

სოფელ ქვემო სარალში საჭიროებების კვლევის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია

ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით, EMC-ის წარმომადგენელმა ჩაატარა ერთი ფოკუს ჯგუფი სოფელი ქვემო სარალის ახალგაზრდებთან (9 ადამიანი). EMC მიზნად ისახავდა სათემო ცენტრის ლიდერების მონაწილეობას კვლევის პროცესში. ამ მიზნით, აღმამედლოს სათემო ცენტრის ლიდერებს ჩაუტარდათ ტრენინგი, პრობლემების იდენტიფიკაციის კითხვარის და KWHW ანალიზის მეთოდის გამოყენებაში. რის შედეგადაც, მონაწილეობითი სამოქმედო კვლევის (Participatory Action Research) ფორმატში, სათემო ცენტრის ლიდერებმა ჩაატარეს 8 პირისპირი ინტერვიუ აღმამედლოს მოსახლეობასთან, 4 ქალთან და 4 კაცთან. ამ სოფელში EMC-ის მიერ უკვე ჩატარებული საველე გასვლისა და მობილური იურიდიული კლინიკის, ასევე სათემო ცენტრის აქტივისტებთან

ჩატარებული ფოკუს ჯგუფისა და ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად გამოვლინდა სოფელი აღმამედლოს შემდეგი საჭიროებები.

სოფელ ქვემო სარალის საჭიროებები:

1. (ალქმა) საკითხი, რომელიც აღქმულია თემში პრობლემად?

თვითმმართველობის უფრო თავდაცვითი პოლიტიკის სტრატეგიები: სოფელში ერთ-ერთი ყველაზე მწვავედ აღქმული საკითხი არის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების ემოციურად თავდაცვითი დამოკიდებულება არსებული პრობლემების გასაჯაროებასთან დაკავშირებით. მოსახლეობა აცხადებს, რომ პრობლემებზე ღიად და საჯაროდ საუბრის შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს სწყინთ და უბრაზდებიან მოსახლეობას. შედეგად, მოსახლეობა ორი არჩევანის წინაშეა ან არ ამოიღონ ხმა და არჩევნებიდან არჩევნებამდე მცირე ფინანსური სარგებელის სანაცვლოდ მისცემენ ხმას კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას და ამ პირობებში სოფელში არსებულ კოლექტიურ პრობლემებს ვერ მოგავარებენ, ან ამოიღებენ ხმას და ურთიერთობები გაუფუჭდებათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომლებიც მათი აზრით ასევე ხშირად მხარდაჭერილნი არიან ცენტრიდან. არსებული სიტუაცია, მოსახლეობაში იწვევს ფრუსტრაციას და უნდობლობას არჩევნების, თვითმმართველობის და ზოგადად, დემოკრატიის მიმართ. შედეგად, მოსახლეობაში ძლიერდება პოზიცია, რომ არავინ არ არის დაინტერესებული პრობლემების რეალური მოგვარებით, ან კრიტიკული პოზიციების გაგებით. სწორედ ეს შეიძლება იყოს ის სიღრმისეული ფაქტორი, რის გამოც, ერთი შეხედვით მოსახლეობა ინდიფერენტულია პოლიტიკური პროცესების მიმართ.

ახალგაზრდებზე ზეწოლა და მათი პოლიტიზირების მცდელობა: ახალგაზრდები აცხადებენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ან მათთან დაახლოებული პირები ხშირად ცდილობენ ახალგაზრდების პოლიტიზირებას, რათა მიიღონ მათი მხარდაჭერა არჩევნების დროს. ასევე, ახალგაზრდები აცხადებენ, რომ მათზე ხშირია ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რათა დაინტერესებულმა პირებმა გამოიყენონ ახალგაზრდების რესურსები საარჩევნოდ.

2. (რაოდენობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე ბევრ ადამიანს აწუხებს თემში?

წყალი: წყალი არის ერთ-ერთი ის საკითხი, რაც ყველაზე მეტ ადამიანს აწუხებს სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ოჯახში შეყვანილია წყლის მილები და ონკანებიდან წყალი მოედინება, მოსახლეობა აცხადებს, რომ აღნიშნული წყალი სასმელად უვარგისია. უფრო მეტიც, თითქმის ყველა ხაზს უსვამს, რომ აღნიშნული წყლით შეუძლებელია სარეცხის, ან ჭურჭლის გარეცხვა, დაბანა, და ხეების მორწყვა კი. მიუხედავად ამისა, აცხადებენ, რომ მათ არ უნდათ ესეც დაკარგონ და ამიტომ არ იღებენ ხმას და არ აფიქსირებენ კრიტიკულ პოზიციას ამ საკითხზე. არსებითა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ სასწრაფოდ ჩაატაროს აღნიშნული წყლის ხარისხის სათანადო ლაბორატორიული შემოწმება და ადეკვატური ზომების მიღება მისი გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული ფაქტი, ადგილობრივი თვითმმართველობის ზედამხედველობის სამსახურების ზედაპირულ მუშაობასა და არაპროფესიონალიზმზე უთითებს.

ასევე: სკოლა, შიდა გზები, სოფლის მიწები (სამოვრები)

3. (ისტორიულობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე დიდი ხანია არის თემში?

ქართული ენის ცოდნა: სოფლის მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის სახელწიფო ენა. იმის გამო, რომ თვითმმართველობის დონეზე სოფლის პრობლემების დაყენება შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ენაზე, ეს გარემოება და ასევე ქართული ენის დომინაციის პოლიტიკა, ქმნის დამატებით ბარიერებს მოსახლეობისთვის საკუთარი პრობლემების ადვოკატირების პროცესში. ენის

არ ცოდნის გამო, მოსახლეობა ხშირად უარს აცხადებს მიმართოს თვითმმართველობას და მოაგვაროს ადვილად დაძლევადი საკითხებიც კი.

სოფლის წყარო: დღემდე, ქვემო სარალის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა სასმელ წყალს სოფლის ცენტრში არსებულ წყაროდან იღებს. თითქმის მთელი სოფელი ყოველდღიურად დგას წყაროს რიგში, რომ მოიმარაგონ სასმელი და საყოფაცხოვრებო წყალი. ხშირია შემთხვევები, როცა მოსახლეობა იძულებულია შუაღამით წავიდეს წყაროზე, რადგანაც ვერ მოასწრეს და ვერ დაიკავეს რიგი დღისით. აღნიშნული სიტუაცია იმდენად არის ინტერნალიზებული მოსახლეობის მხრიდან, რომ სოფლის მაცხოვრებლები პრობლემად ხედავენ არა თავისთავად მთელი სოფლის ერთ წყაროზე დამოკიდებულებას, არამედ წყაროზე წყლის ნელი ტემპით დინებას. არსებულ სიტუაციაში, მოსახლეობისთვის პირველად პრობლემად ისახება სასმელი წყლის საკითხი, რომელიც არის ყველაზე ისტორიული და მძიმე გამოწვევა.

ასევე: საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სკოლა, სოფლის მიწები (სადოვრები)

4. (სიხშირე) პრობლემა, რომელიც ყველზე ხშირად გვხვდება თემში?

შიდა გზები: ქვემო სარალის ცენტრამდე გზის საფარი მოასფალტებულია. მიუხედავად ამისა, სოფლის მოსახლეობა აცხადებს, რომ სოფლის შიდა გზები მძიმე მდგომარეობაშია, ხოლო წვიმიან ამინდში მოსახლეობისთვის ამ გზებზე ფეხით გავლა შეუძლებელი ხდება.

ნარჩენების მართვა: სოფელ ქვემო სარალში არ არის ნაგვის ურნები. მოსახლეობა აცხადებს, რომ ისინი იძულებულნი არიან, რომ ნაგავი გადაყარონ სოფლის მიმდებარედ არსებულ მდინარეში, ან სოფლის სარწყავ არხებში, რაც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე.

ასევე: სასმელი წყალი, სოფლის მიწები (სადოვრები), სკოლა

5. (სიმძიმე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ინტენსიური და აუტანელია?

სოფლის მიწები და სადოვრები: მოსახლეობა აცხადებს, რომ 90-იან წლებში სოფლის მიწების გასხვისების პროცესი განხორციელდა უსამართლოდ. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს მათთვის მიწის რესურსის არ არსებობა. ასეთ პირობებში, მოსახლეობის ნაწილი იძულებულია, რომ ე.წ. კერძო „არენდატორებისგან“ იჯარით აიღოს მიწა, რის გამოც, მათი საკუთარი მძიმე შრომის დიდი ნაწილის გადახა სწორედ კერძო „არენდატორებისთვის“ უწევთ. გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ უახლოეს წარსულში მოსახლეობისგან დაუკითხავად მოხდა სოფლის სადოვრების გასხვისებაც. მიწების და სადოვრების გარეშე დარჩენილი მოსახლეობისთვის სოფელში დარჩენა ხშირად შეუძლებელიც ხდება, რის გამოც, მოსახლეობა ხშირად სამუშაოდ სხვა ქვეყნებში მიემგზავრება.

სოფლის სარწყავი არხები: რადგანაც სოფელში მძიმედ დგას წყლის პრობლემა, მოსახლეობის ნაწილი, რომლებიც არხებთან ახლოს ცხოვრობენ, აღნიშნულ არხებს იყენებენ საყოფაცხოვრებოდ (და არა სასმელად). მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ოჯახი სახლის კანალიზაციას უშვებს ამ არხებში, რაც იწვევს ანტისანიტარიას და დაბინძურებას.

ასევე: შიდა გზები, სასმელი წყალი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი

6. (თანასწორობა) პრობლემა, რომელიც არღვევს თანასწორობის უფლებას?

სკოლამდელი განათლება და სკოლა: ქვემო სარალში არ არის სკოლამდელი განათლება. რაც არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს ქვემო სარალში მაცხოვრებელ ბავშვებს. სოფლის სკოლას არ გააჩნია ფიზიკის და ქიმიის ლაბორატორიები. სკოლა არ არის შემოღობილი, რის გამოც გარეშე პირებს ადვილად შეუძლიათ შევიდნენ სკოლის შენობაში და მიმდებარე ტერიტორიაზე.

გამოკითხვებით გამოვლინდა, რომ სკოლაში სწავლის ხარისხიც ძალიან პრობლემურია. ეს ყველაფერი ქვემო სარალის მოსწავლეებს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სხვა რეგიონის ახალგაზრდებთან.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: სოფელში არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, რაც იზოლირებულ და არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს სოფლის მოსახლეობას. ამ კუთხით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ახალგაზრდები და გოგონები. ქვემო სარალის სტუდენტებს უწევთ დიდი მანძილის გავლა ფეხით, რომ გავიდნენ ცენტრალურ გზამდე, საიდანც მეზობელი სოფლების საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებით შეძლონ იმგზავრონ მარნეულის და თბილისის მიმართულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი ოჯახი უარს აცხადებს შვილის (ძირითადად გოგონების) განთლებაზე, რადგანაც მათი აზრით, ახალგაზრდა გოგონასთვის მიუღებელია ცენტრალურ გზამდე ფეხით გავლა და იქ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის დალოდება.

7. (გენდერი) პრობლემა, რომელიც ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს?

ქალთა ჩაგრული მდგომარეობა: გამოკითხვების შედეგად გამოვლინდა, რომ ქალები განსაკუთრებით ჩაგრულ მდგომარეობაში არიან. სოფელში ჯერ კიდევ ძლიერია გოგონების აზრის გათვალისწინების გარეშე მათი ადრეულ ასაკში ქორწინება. ხშირად, ეს გამოწვეულია სოციალურ-ეკონომიკური პირობებით, რასაც ტრადიციების არასწორად ინტერპრეტაციაც უწყობს ხელს. ქალების ხმა თითქმის არ ისმის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. სიტუაციას ამძიმებს სოფელში საბავშვო ბაღის არ არსებობაც, რაც თავის მხრივ ქალებს უზღუდავს ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვას. ხშირად, ქალები იძულებულნი არიან იჯარით აღებულ მიწებზე მუშაობის დროს თან წაიყვანონ სკოლამდელი ასაკის შვილები, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მათ შრომასა და ყოველდღიურობას

8. (შიდა თანასწორობა) პრობლემა, რომელიც თემის შიდა თანასწორობას და სამართლიანობას უშლის ხელს?

ახალგაზრდების ხმა და ახალგაზრდული ცენტრი: ახალგაზრდები აცხადებენ, რომ სოფელში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი აზრი არასდროს ყოფილა გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდული ცენტრის ჩამოყალიბების შემდეგ, მათ უკვე შეუძლიათ ორგანიზებულად პოზიციონირება და მათი საჭიროებების და წუხილების დაფიქსირება საჯაროდ. ამასთანავე, ახალგაზრდული ცენტრის ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა არის ის, რომ ამჟამად ისინი იკრიბებიან ერთ-ერთ ოჯახში, რომლის დატოვებაც მალე მოუწევთ და მათთვის რთული გახდება შეხვედრები და კოლექტიური მუშაობა.

სოფელში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მდგომარეობა: ახალგაზრდული ცენტრის აქტივისტებმა აღნიშნეს, რომ სოფელში ყველაზე უთანასწორო და ჩაგრულ მდგომარეობაში არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომელთა საჭიროებებს არც კი ხედავს ადგილობრივი თემი. მათი ინტერესების დაცვაზე და მათთვის ინკლუზიური გარემოს შექმნაზე კი საუბარიც ზედმეტია.

გამოსავლის გზები და ადგილობრივი თვითმმართველობის როლი

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ქვემო სარალის თემი კარგად ხედავს სოფელში არსებულ პრობლემებს და მათი მოგვარების გზებს. EMC-ის მუშაობის შედეგად გამოვლინდა, რომ სასმელი წყალი, ბაღი და სკოლა და საზოგადოებრივი ტრანსპორტი არის ის სამი ძირითადი ადმინისტრაციულ-ინფრასტრუქტურული გამოწვევა, რაც ყველაზე მეტად აწუხებს სოფელს. აღნიშნული გამოწვევების მოგვარების ყველაზე ეფექტური გზა შესაძლოა იყოს პირდაპირი დემოკრატიული კომუნიკაციის დამყარება მოსახლეობასა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს

შორის, რაც მოსახლეობაში პოლიტიკური პროცესების მიმართ ნდობას გაზრდის. მოსახლეობის მიხედვით, სოფლის გამოწვევების მოგვარების ყველაზე ეფექტური გზა იქნებოდა სოფლის მაცხოვრებლების აზრის მოსმენა, სანამ რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მიიღებდა თვითმმართველობა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია სოფლის კრებების ტრადიციის შექმნა და მხარდაჭერა თვითმმართველობის მიერ კითხვაზე თუ ვინ არის პასუხისმგებელი ამ პრობლემების მოგვარებაზე, პასუხი ერთგვაროვანი და ცალსახაა. მოსახლეობის აზრით, აღნიშნული პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობა მოსახლეობასთან თანამშრომლობის გზით. არსებითია, რომ ადგილობრივ თემთან კომუნიკაციის დროს ადგილობრივმა ხელისუფლებამ ჩართოს და გაითვალისწინოს ადგილობრივი ქალები ასევე ახალგაზრდები. მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკა იყოს ინკლუზიური და ის პოლიტიკის დაგეგმვის და განხორციელების ჯგუფს ხედავდეს, აღიარებდეს ყველა სოციალურ ჯგუფს (მათი სპეციფიკური მოწყვლადობის და საჭიროებების გათვალისწინებით), რესურსებს მათი საჭიროებების მიხედვით ანაწილებდეს და ამავდროულად ყველა ამ ჯგუფს პოლიტიკაში მონაწილეობის შესაძლებლობებს უქმნიდეს. ამ კუთხით თვითმმართველობასთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. არსებითია მათ ქალებთან კომუნიკაციის, მათი სპეციალური საჭიროებების და წუხილების იდენტიფიცირება და ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე მათი დაყენება უზრუნველყონ. ამასთან არსებითია ქალთა პირდაპირი პოლიტიკური მონაწილეობის სპეციალური ფორმატების შემუშავება, მათ შორის, ქალებზე სპეციალურად ორიენტირებული სოციალური მხარდაჭერის პროგრამების და გრანტების სისტემის დანერგვა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მიერ.

ქართული ენის დომინაციის პოლიტიკის პირობებში, მნიშვნელოვანია თვითმმართველობის და ტერიტორიული ორგანოების დონეზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოხდეს საჯარო ინფორმაციის და სახელმწიფო პროგრამების თარგმნა მათთვის გასაგებ ენაზე, რათა იზოლაციის და პოლიტიკური პროცესებიდან გაუცხოების პრობლემა შედარებით მოიხსნას.

სოფელ ქვემო სარალს გააჩნია თვით ორგანიზების მექანიზმებიც. ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი თემის ახალგაზრდული ცენტრია, რომლის წევრებიც აქტიურად ახდენენ სოფლის პრობლემების ადვოკატირებას სოციალურ ქსელებში და ადგილობრივ თვითმმართველობასთან.